კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (2024)

აბსტრაქტი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშს. გამოიკითხა 2022 წლის კურსდამთავრებულები.

სარჩევი

შესავალი 3
კვლევის მიზანი 4
კვლევის მეთოდოლოგია 4
სამიზნე ჯგუფი 5
შერჩევა 5
მონაცემთა შეგროვების მეთოდი 5
ეთიკური მოსაზრებები 6
კვლევის შედეგები - მონაცემთა ანალიზი 6
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 15

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მის ერთ-ერთ ამოცანას პროგრამის კურსდამთავრებულთა საქმიანობისა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და ეფექტურობის მისაღწევად არსებითად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა.

მოცემული კვლევა წარმოადგენს საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი, ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის დანერგვის მეორე ციკლს, რომელიც მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდოლოგიასა და ფართომასშტაბიანი ქსელური საერთაშორისო ინიციატივების საუკეთესო გამოცდილებას ეყრდნობა. მონაცემები, კვლევის დიზაინის თანახმად, კონფიდენციალურია. ისინი გამოიყენება შიდა განვითარების მიზნებისთვის.

კურსდამთავრებულთა კვლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2022 წლის კურსდამთავრებულების მოსაზრებებს შეისწავლის. საველე სამუშაოები განხორციელდა 2023 წლის შემოდგომასა და ზამთარში.

კვლევის მიზანი

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა, სწავლის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გაგვეგო თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით. კვლევის მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა კვლევის აღნიშნული მოდელი არაერთ ცვლადს აერთიანებს, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვან განზომილებაში დაჯგუფდა. ეს განზომილებებია:

- კურსდამთავრებულთა სოციო-ბიოგრაფიული მონაცემები;
- პროგრამაზე სწავლის გამოცდილება (რეტროსპექტიული შეფასება);
- სამსახურის ძიება, დასაქმება და სამუშაო პირობები.

კვლევის მეთოდოლოგია

ვინაიდან კვლევის დიზაინის ფორმატი ქსელური ინსტიტუციური მოდელია, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობდა ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას).

კურსდამთავრებულთა კვლევის ქსელური ინსტიტუციური მოდელი აერთიანებდა საქართველოში მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც თანამშრომლობდნენ კურსდამთავრებულთა კვლევის განხორციელების პროცესში ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან. თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები გულისხმობდა:

- ერთიანი კითხვარის შექმნას, პროფესიული უნარების სააგენტოსა და პსდ-ების თანამშრომლობით;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ჩასატარებლად პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილ ელექტონულ პლატფორმაზე მონაცემების შეგროვების პროცესის მართვას;
- მონაცემების შეგროვებას, რომელიც ყველა პსდ-ში მიმდინარეობდა სტანდარტული პროტოკოლით საერთო ვადების და ეტაპების გათვალისწინებით. პროცესი იყო უნიფიცირებული და თითოეული პროვაიდერის მონაცემი კონფიდენციალური;

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთი სტანდარტული ციკლის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენდა და სამ ძირითად ფაზად იყოფოდა.

I. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება - კვლევის დიზაინსა და ინსტრუმენტებში ცვლილებების შეტანა/შეთანხმება;
II. ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი - საველე სამუშაოების ჩატარება;
III. შედეგები - მონაცემების შეყვანა და ანალიზი.

კურსდამთავრებულთა კვლევის ქსელური ინსტიტუციური მოდელი იძლეოდა შესაძლებლობას, ცალკეული ინსტიტუციის დონეზეც, ინდივიდუალურად მომზადებულიყო კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში და გაკეთებულიყო საკუთარი მონაცემების ერთიან მონაცემებთან (ქვეყნის მასშტაბით) შედარება.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში. ამასთან, პროგრამის დასრულებიდან კვლევაში მონაწილეობამდე, დროის ინტერვალი არ უნდა ყოფილიყო 1 წელიწადზე მცირე და 2 წელზე მეტი.

შერჩევა

ვინაიდან კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდა ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის მიხედვით, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებდა, მეთოდოლოგია გულისხმობდა ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას). ჩვეულებრივ, კვლევაში მოწვეული კურსდამთავრებულთა ნაწილი უარს ამბობს მონაწილეობაზე, გარდა ამისა, პასუხების წილი უფრო დაბალია ელექტრონული დისტანციური გამოკითხვის შემთხვევაში. ამ რისკის შესამცირებლად ინსტიტუციებს ჰქონდათ შესაძლებლობა, კურსდამთავრებულები რამდენჯერმე მოიწვიათ - სულ მცირე ორი შეხსენების გაგზავნა ერთი-ორკვირიანი შუალედებით.

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მონაცემთა შეგროვების ძირითად მეთოდს წარმოადგენდა ონლაინ გამოკითხვა - სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარით. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა კვლევის მეორე ფაზაზე და გულისხმობდა მონაწილეთა მოწვევას, საველე სამუშაოს ჩატარებასა და მონიტორინგს, ნაკლული მონაცემების კონტროლს. ონლაინ გამოკითხვის გზით, ინფორმაციის შეგროვება ნაკლებ რესურსს მოითხოვს პირისპირ ინტერვიუს თუ საფოსტო/სატელეფონო ინტერვიუსგან განსხვავებით, თუმცა მეთოდის შეზღუდვებს წარმოადგენს ის, რომ რესპონდენტს არ აქვს მათთვის გაუგებარი საკითხების დაზუსტების შესაძლებლობა, ისევე როგორც რთულდება რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების პროცესის კონტროლი (ნაკლული მონაცემების პრობლემა). ამ რისკების შესამცირებლად კვლევის ფარგლებში:

- საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ონლაინ/სატელეფონო დახმარება;
- კითხვარის შევსება შესაძლებელი იყო როგორც კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის გამოყენებით;
- კითხვარი შეიცავდა ამომწურავ ინსტრუქციებს, კითხვები დაჯგუფებული იყო შინაარსობრივ ერთეულებად;
- ხორციელდებოდა ატვირთული ინფორმაციის მონიტორინგი და ნაკლული მონაცემების წილის შემცირების ღონისძიებები.

ელექტრონული პორტალი, სადაც განთავსებული იყო სტრუქტურირებული კითხვარი, კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის მართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. ელექტრონულ პორტალზე შესაძლებელია კვლევის ზოგადი მიზნების და მთავარი შედეგების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ასევე, კვლევის ტექნიკური დოკუმენტაციის და მონაცემთა ბაზების (ღია მონაცემების) ჩამოტვირთვა.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულ იქნა ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- კურსდამთავრებულებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი

2022 წელს, 71 საგანმანათლებლო დაწესებულებას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჰყავდა კურსდამთავრებული. საჯარო დაწესებულებებში გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 78% სწავლობდა, ხოლო 22% კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულია. რესპოდენტთა საშუალო ასაკი 28 წელია. ზოგადად, ასაკობრივი დიაპაზონი ფართოა და სასკოლო ასაკიდან 79 წლამდე მერყეობს. კვლევის მონაწილეთა საერთო რაოდენობაში გენდერული წილი თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი - მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა წილი 48.4-ს შეადგენს, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენელია - 51.6 %.

მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ყველა ე.წ. „გრძელვადიანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მისი განმახორციელებელი დაწესებულების შესახებ, აღნიშნული კვლევის ანგარიში მიმოიხილავს კოლეჯი ბარაკონის 2022 წლის კურსდამთავრებულთა ზოგად ტენდენციებს დასაქმების, სწავლით კმაყოფილების და კარიერული განვითარების მიმართულებით. ინსტიტუციისათვის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოწვეული იყო 2022 წლის 51 კურსდამთავრებული. სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), ინფორმაციის ტექნოლოგია) 51 მოწვეული კურსდამთავრებულიდან, 20-მა მიიღო კვლევაში მონაწილეობა, რაც წარმოადგენს გამოპასუხების 39,2%-იან მაჩვენებელს. მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც სწავლობდნენ. კერძოდ, თემატური ჯგუფები გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია;
- ორგანიზაციული და სასწავლო პროცესის ასპექტები;
- მიღებული კომპეტენციები და სწავლით კმაყოფილების შეფასება;
- სამუშაოს ძიება და დასაქმება;
- კარიერული ორიენტაცია და შრომითი კმაყოფილება.

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებმა მნიშვნელობის მიხედვით შეაფასეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზეზები. ყველაზე დიდმა ნაწილმა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესის, სწავლის საფასურის არარსებობის და კარიერული განვითარების (დაწინაურების) გათვალისწინებით მიიღო. შედარებით ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების რეპუტაციასა და დასაქმების მაღალ შანსს, ხოლო საერთოდ არცერთი გამოკითხულისთვის არ იყო მნიშვნელოვანი „სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადება“ (დიაგრამა #1).

დიაგრამა #1. ჩამოთვლილი მიზეზებიდან, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული მათგანი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას? გთხოვთ, თითოეულ სტრიქონში მონიშნოთ ერთი პასუხი



კვლევაში მონაწილე 20 რესპონდენტიდან 18-ს არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე. დანარჩენი 2 გამოკითხულის შემთხვევაში, რეპონდენტებმა მიუთითეს ის მიზეზები, რის გამოც განიხილავდნენ სწავლის შეწყვეტას. პირველი მიზეზი ეს არის „სასწავლო პროგრამის დაძლევა გამიჭირდა“, ხოლო მეორე - „ტრანსპორტირების პრობლემა“.

დაიგრამა #2. პროგრამაზე სწავლისას, გიფიქრიათ სწავლის მიტოვებაზე?



კვლევა კურსდამთავრებულთა სწავლის მოტივაციის საკითხსაც ეხებოდა. კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტების უმეტესობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას მაღალი (30%), ან ძალიან მაღალი (40%) მოტივაცია ჰქონდა. შედეგების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, რომ ონლაინ დისტანციურ გამოკითხვას ახლავს რესპონდენტების თვითშერჩევით განპირობებული რისკი - კითხვარს უფრო მეტი ალბათობით ავსებენ მეტად მოტივირებული, მონდომებული კურსდამთავრებულები. თუმცა, ამ გარემოების გათვალისწინების შემთხვევაშიც, შედეგები კურსდამთავრებულთა სწავლისადმი მაღალ მოტივაციაზე მიგვითითებს (დიაგრამა #3).

დიაგრამა #3. როგორ შეაფასებდით თქვენს სწავლის მოტივაციას პროგრამაზე სწავლის განმავლობაში?



კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებას კურსდამთავრებულთა მიერ სასწავლო გარემოსა და სერვისების შეფასება წარმოადგენდა. კურსდამთავრებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეეფასებინათ დაწესებულების მხრიდან შეთავაზებული სერვისები. რესპონდენტებმა ხუთქულიან სკალაზე განსაზღვრეს, რამდენად იყო კოლეჯის მხრიდან დასაქმების/სამუშაოს ძიებისა და სტაჟირების შესაძლებლობების ძიების პროცესში დახმარება გაწეული, რამდენად ხშირი და ეფექტური იყო კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაცია (დიაგრამა #4).

დიაგრამა #4. როგორ შეაფასებთ დაწესებულების მხრიდან შეთავაზებულ ქვემოთ ჩამოთვლილ სერვისებს?



სასწავლო გარემოსა და სერვისების კომპონენტში გამოკითხულმა კურსდამთავრებულებმა შეაფასეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სხვადასხვა სერვისი და რესურსი. რესპონდენტებს ხუთქულიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ ჩამოთვლილი ასპექტები, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უარყოფით შეფასებას, ხოლო 5 - ძალიან დადებითს. კურსდამთავრებულების უმრავლესობა (85%) ძალიან დადებითად აფასებს სწავლების ხარისხსა და პროფესიული სტუდენტების კონტაქტს/კომუნიკაციას ერთმანეთთან. აგრეთვე, რესპონდენტების 80% ძალიან დადებითად აფასებს სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობას (მაგ. წიგნები, ინტერნეტზე წვდომა), პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციას, მასწავლებლებთან კონსულტაციის შესაძლებლობას. გამოკითხული რესპოდენტების მცირე ნაწილის მიერ, უარყოფითად ფასდება შემდეგი დებულებები: „სტუდენტების ჩართულობა პროგრამების ცვლილებაში“, „დაწესებულების პოლიტიკაზე სტუდენტების ზეგავლენის შესაძლებლობა“, „სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობები (მაგალითად, კლუბები).

დიაგრამა #5. როგორ შეფასებთ სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ქვემოთ წარმოდგენილ ასპექტებს?



კურსდამთავრებულებმა ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს სერვისები, რომლებიც დასაქმების ხელშეწყობასა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას უკავშირდებოდა. კურსდამთავრებულთა უმეტესობა ძალიან დადებითად ან დადებითად აფასებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კომუნიკაციისა და სასწავლებლის მხრიდან დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარებას. საინტერესოა, თუ რა ფორმით აგრძელებენ ურთიერთობას კურსდამთავრებულები კოლეჯთან. ძირითად საკომუკაციო წყაროს წარმოადგენს ელექტრონული ფოსტით მიმოწერა და თანამშრომლობა კონსულტაციების გაწევის თვალსაზრისით, ხოლო გამოკითხულთა 15%-ს სწავლის დასრულების შემდგომ, არ ჰქონია კავშირი კოლეჯთან.

კურსდამთავრებულებმა ასევე შეაფასეს სწავლის პერიოდში მიღებული კომპეტენციები. შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულების უმრავლესობამ საფუძვლიანად განივითარა პროფესიული უნარები და პროფესიული ცოდნა. გამოკითხულთა 85%-მა საფუძვლიანად განივითარა სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობის უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების უნარი. თუმცა, წინა წლის მსგავსად, პრობლემურია ე.წ. ტრანსფერული უნარებიდან უცხო ენა (დიაგრამა #6).

დიაგრამა #6. რამდენად შეიძინეთ/განივითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში?



ზოგადი შეფასებები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 2022 წლის კურსდამთავრებულებში ძირითადად მაღალი ან ძალიან მაღალია. გამოკითხულთა 85% სრულად დარწმუნებულია, რომ არჩევანის ხელმეორედ გაკეთების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებას. მთლიანობაში, სწავლის პერიოდის შეჯამებისას, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასარგებლო იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა პიროვნული განვითარება (95%) და ადეკვატური სამუშაოს მოძიება (90 %) (დიაგრამა #7).

დიაგრამა #7. მთლიანობაში, რამდენად სასარგებლო იყო თქვენ მიერ გავლილი პროფესიული პროგრამა ქვემოთ წარმოდგენილი მიზნებისთვის?



კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ერთი შეხედვით ოპტიმისტურად გამოიყურება. სწავლის დაწყების მომენტისთვის პროფესიით დასაქმებულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 50%-ს, სხვა მიმართულებით დასაქმებული იყო 20%, დაუსაქმებული ასევე 20%, ხოლო თვითდასაქმებული (ფრილანსერული სამუშაო) იმავე პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარა შეადგენდა 10%-ს. 10% ასევე იყო თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით (რესპოდენტებს ერთი ან რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ) (დიაგრამა #8).

დიაგრამა #8. ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო თქვენი სტატუსი პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის? გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი



კვლევის პერიოდში, გამოკითხულთაგან 5 რესპონდენტი იყო დაუსაქმებელი. მათგან 4 სწავლის პერიოდშივე ეძებდა სამუშაოს, ხოლო 1 გამოკითხული ოჯახური მიზეზების გამო არ ეძებდა სამუშაოს. კურსდამთავრებულებისთვის სამსახურის მოსაძიებლად ყველაზე წარმატებული მეთოდი აღმოჩნდა სწავლის პერიოდში გავლილი სტაჟირება, ხოლო ყველაზე წარუმატებელი - კერძო დასაქმების ცენტრი. რესპონდენტებმა, აგრეთვე, მოგვაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სექტორში იყვნენ ისინი ამჟამად დასაქმებულნი. კურსდამთავრებულთა 53.3% (8 რესპონდენტი) კერძო სექტორში მუშაობს, 46,7% (7 რესპონდენტი) - საჯარო სექტორში. რესპონდენტებმა ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს მიმდინარე სამუშაოთი კმაყოფილება (1 - სრულიად უკმაყოფილო, 5 - ძალიან კმაყოფილი). აღსანიშნავია, რომ დასაქმებული რესპონდენტების 68% კმაყოფილია სამუშაოთი. დასაქმებული კურსდამთავრებულების 60% დაბალი რგოლის თანამშრომელია, 20% შუა რგოლის თანამშრომელი, ხოლო 20%-ს უჭირს საკუთარი სამუშაოს რანგის განსაზღვრა. დასაქმებული რესპონდენტების 39% ამბობს, რომ დაწინაურდა პროგრამის დასრულების შემდეგ. დასაქმებული რესპონდენტების 60% აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ პერიოდში, მისი ხელფასი გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 12%-ით წინა წლის კვლევის შედეგებთან შედარებით.

კურსდამთავრებულთა კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციები სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. დასაქმებული 15 რესპოდენტიდან 73.3% მიიჩნევს, რომ მისი კვალიფიკაცია შეესაბამება სამუშაოს, 6.7%-ის შეფასებით, სამუშაო ითხოვს უფრო დაბალ კვალიფიკაციას, ხოლო რესპოდენტთა 20%-ის აზრით, სამუშაო ითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას (დიაგრამა #9).

დიაგრამა #9. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება თქვენი ამჟამინდელი სამუშაო თქვენს პროფესიულ კვალიფიკაციას?



კვლევის ბოლოს რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ მოსაზრებები/შემოთავაზებები პროგრამასთან/დაწესებულებასთან ან/და აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით. თითოეული უკუკავშირი იყო დადებითი. რესპოდენტები კმაყოფილნი არიან გაკეთებული არჩევანით, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე დაწესებულებასთან მიმართებით.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების ანალიზით, იკვეთება შემდეგი მიგნებები:

- რესპონდენტების უმეტესობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას მაღალი (30%), ან ძალიან მაღალი (40%) მოტივაცია ჰქონდათ;
- რესპონდენტების უმრავლესობამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესის, სწავლის საფასურის არ არსებობის და კარიერული განვითარების (დაწინაურების) გათვალისწინებით მიიღო;
- დასაქმებული რესპონდენტების 68% კმაყოფილია სამუშაოთი;
- დასაქმებული კურსდამთავრებულების 60% დაბალი რგოლის თანამშრომელია, 20% შუა რგოლის თანამშრომელი, ხოლო 20%-ს უჭირს საკუთარი სამუშაოს რანგის განსაზღვრა;
- კვლევაში მონაწილე 20 რესპონდენტიდან 18-ს (90%) არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე.

კვლევის შედეგები მკაფიოდ აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა ქსელების განვითარება. იმედს გამოვთქვამთ, რომ კურსდამთავრებულთა ქსელების განვითარებასთან ერთად, ასევე, გაიზრდება კურსდამთავრებულთა კვლევაში გამოპასუხების მაჩვენებელი და მოწოდებული უკუკავშირის ხარისხი.